ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №5626168

ნომერი: AR1854478

თარიღი : 05.10.2021

გაცემის თარიღი : 06.10.2021

გაცნობის თარიღი : 08.10.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 41 , (ნაკვ.7/6) ; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 41; ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 41;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევანი წერეთელი პ/ნ 01005016300
- თბილისი სულთნიშნის ქ. N 2 ბ. 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1..არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : წარმოსადგენია უახლესი სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა ფოტოფიქსაციის თარიღის მითითებით.

2.ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : ვინაიდან სარეკლამო აბრის მოწყობა მოთხოვნილია AR1848949 განაცხადით, საჭიროა ამოიღოთ საპროექტო დოკუმენტაციიდან. ასევე გაითვალისწინეთ: დამატებით წარმოსადგენია საკადასტრო გეგმა მასზე სარეკონსტრუქციო არეალის მონიშვნით, დეტალურად ზომების მითითებით და შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

საზოგადოებრივ სივრცეში 2.70 მ-მდე სიმაღლეზე დაუშვებელია შენობის ფასადიდან არქიტექტურული დეტალების ნებისმიერი გადმოწევა 0.30 მ-ზე მეტად, ხოლო ზედაპირიდან
2.70 მ-ზე მეტის შემთხვევაში -- მხოლოდ 1,40 მ-მდე.

საჩრდილობლები წარმოდგენილი სახით არ არის მისაღები. ამოღებული იყოს სარეკლამო წარწერები.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.

შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.